

იუმორისტი
უკრნალი

მუსიკა მარკოს გადახუა № 9



კ რ შ ი ყ ნ ი

დონ-სანდო-საქართლეთელი.

ჩემო იავ! ჩემო ვარდო
თვალ სოსანო ველიდ რგულო,
არა გშვენის ბებერ სატრფოს
ემიჯნურო, ეერდეგულო.
წამო ჩემთან სულის სატრფოვ,
ნუ, ნუ მტანჯავ, წამო, წამო
დაშინის დილა გაგითენ,
ხანჯლის დღე და ხმლის სალამო.

უერონტინა სახალხეთელი.

მწუ, მწუ, მწუ, მწუ*) ნუ მწვავ გიშო,
ჩემო შლევო, ჩემო ხელო!
ეს ხორცას ფლობს, სხეულს ჩემსას
შენ კი, შენ სულს სანატრელო,
მაგრამ... ვიცი, შენ ქონება
არ გაქვს, ტურფავ, იმოდენა,
რომ შეგეძლოს ამასავით
ჩემი მოვლა, ჩემი რჩენა.

*) აქ იგულისხმება თითების წევროთა კოცნა, რომე-
ლიც ჰაერის საშვალებით გადაეცემა ობიექტები.

უცხო სიტყვათა განმარტება

იტალიური გაფიცვა. რუსეთში და ჩვენს ქვეყანაშიც მუშებს აღებთან ბრძოლის დროს ხშირად მიუმართავთ იტალიური გაფიცვისათვის. იტალიური გაფიცვა იმით განიჩევა ჩვეულებრივისაგან, რომ მუშა სამუშიერს თავს არ ანებებს. ის თავის ალაგასვე რჩება, მაგრამ მუშაობს ნელა, ზანტათ. ხშირად იმდენათ ნელა, რომ აკეთებს იმის მეასედს, რის გავთვალისწილია. აი მაგალითი: წარმოვიდგინოთ ჩვენს ტრამვაიზე გამოცხადდა იტალიური გაფიცვა. თქვენ დილის მატარებლით ჩამობრძანდით ქ. გორიდან, სადაც დაპატიჟებული იყავთ, მაგრამ მასპინძელი არ დაგიხვდათ. ჩამოდით დალალულ-დაქანული, გაციებული და იჩქარით შინისაკენ ვარდისუბნის ქუჩაზე შე-4 ნომერში.

სადგურთან ტრამვაის ვაგონი დაგხვდათ და თქვენც რასაკირეველია შიგ ჩაბრძანდით. აი, კონტ უქტორმა აიღო ხელში საყვირი. ჯერ რამდენიმეგერ შეატრიალ-მემოატრიალა. ბოლოს პირთან შიიტანა, მაგრამ ამ დროს დახველება მოუნდა და ისევ მოიშორა. ეს გაიმეორა ხუთჯერ. გავიდა ათი წუთი და გაისმა საყვირის ხშა. უკვე ცხრა საათია დილის. ვატმანმა ხელთათმანები გაისწორა. ათჯერ ტორმუზი მოსინჯა. ვაგონის ჭრის რაღაც მიატრიალ-მოატრიალა. ცხრაჯერ დარეკა და სწორეთ ათის ნახევარზე ვაგონი დაიძრა.

აო საათზე თქვენ უკვე მიაღწიეთ იმ ადგილს, სადაც „ალორძინიბის“ მაღაზია იმყოფება. აქ ვა ვონს მხრილოდ ხუთმეტი წუთი შეაგვიანდა და იმავე ცურემონის შემდეგ გაუდგა გზას. თერთმეტ საათზე თქვენ საბალონსნ სკოლის ეზოს გვერდით შიგოვავდით და მშენიერი სანახობით სტკებოდით, ხოლო სრულ 12 საათზე გორგიჯანოვის წინ შეჩრდა თქვენი შეზარბაზა.

აპლოლის წინ, სადაც თქვენ ნაშეადლევის ორ საათზე მიბრძანდით ვაგონი დაეჯახა ავტომობილს და ხუთი კაცი გაქცლიტა. ოქმების წერას მოუნდით სალამის შვიდ საათმდე, მიუხედავათ იმისა, რომ პოლიცია გაფიცვაში მონაწილეობას არ იღებს.

ვერის ხილი როცა გაიარეთ ითანე ღვთის მე-რყველის ეკლესიაზე თერთმეტჯერ შემოჰკრეს ზარი. ზემელის აფთიაქთან კა ვაგონი სრულ შუალამეზე

მიერიდა. ვინაიდან სამუშაო დღე გათავდა აქ ტრამვაი მთაბრუნეს და თქვენ იძულებული გახდით უეხით განგერძოთ გზა.

აი ამას ჰქვია იტალიური გაფიცვა და უნდა გამოგიტყდეთ ძლიერ მოსაწყენი რამეა. მით უმეტეს თუ თოთონ არა ხარ გაფიცული.

ომი.

(იხილე სურათი მეორე გვერდზე).


ვსთქვათ „ახალშენბა“ (რომელიც ვერის ბალების გვერდით სძევს) ომი გამოუტხადა სოფ. წყნეთს. უთანხმოება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ წყნეთის ჩრდილო აღმოსავლეთის კუნძული, ეგრეთ წოდებული „ნახშირ-გორა“ ახალშენელთა მოდგმის ხალხით არის დასახლებული და ნაციონალურ შევიწროებას განიცდის.

პირველი ტყვია 1813 წლის პირველ იანვარს გავარდა. პირველ შეტევისათანავე, სათავად-აზნაურო გიმნაზიის და ფიქრის გორას შუა, ახალშენელებმა გადალახეს მდინარე ვერა და შეესივნებ ვარაზის-ხევის ხეობას. (ვარაზის ხევს შეიძლება იზონცო დავარევათ, მაგრამ მე მაინც ჩვენი შშობლიური სახელი მიიჩევნია).

ნახევარი წლის ომის შემდეგ ახალშენლები უკვე მივიდენ იმ ადგილამდე, სადაც წყნეთის ქუჩა გადასჭრის ვარაზის ხევს და აიღეს*) ბეტონის ხილი. აქ მათ აიყვანეს ბლოკების საშეალებით რამდენიმე ვირი და მაღლა ნაპირზე შესვეს. წყნეთელები კი ჯერ-ჯერობით არსად სჩანდენ.

მერვე თვის მიწურულში მზვერავთა რაზმი უეკრა ერთ მიტოვებულ აგურხანაში და აიღო იგი. მფრინავთა რაზმი, სევასტი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით, წყნეთიდან მომავალ ქარავანს თავს დაუცა და 60 უუმბარა დააყარა. მოკლულ იქნა

*) სიტყვა „აიღეს“ პირდაპირი მნიშვნელობით როდე უნდა გაიგოთ.



— როგორ სჭედენ იტალიელი მეომრები ცხენებს.

რამოდენიმე ნახშირით დატვირთული ვირი, თითონ კი უვნებლათ გადარჩა.

პირველი წლის მიწურულში რაზმი უკვე გრიგოლ ყიფშიძის სახლის გალავანს გაუსწორდა და იქ გამაგრდა.

მეორე წლის პირველ თვეებში ახალშენლებმა ააფეთქეს ერთი საშე-

ნი შეზა იქვე ღუქნის გვერდით დაწყობილი და ორმოში გამაგრდენ.

პ რ ე ს ს ა

(დასელ მუშათა სიუშადდებთ)

ამხანაგებო!

სიტყვა „პრესსას“, როგორც არა ქართულს, რა ხანია ხმარობს ჩვენი მკითხველი საზოგადოება. ვინ მოსთვლის ვის როგორ ესმოდა აღნიშნული უცხო სიტყვა და ვინ რა შინაარსს სლებდა მასში. მე ჩემდა თავად კარგა ხანია „პრესსა“ იგივე „პრესსი“ მეგონა, ვინაიდან ხშირად მინახავს და მსმენია, თუ რამდენი ხალხი იჭყლიტება პრესსაში.

ჩვენდა საბენიეროთ ბ-ნმა აპ. წ—ძევ გაზეთ „საქართველოში“ ჩინებულათ გაარკვია ეს საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „პრესსა“ საჭირო ყოფილი ხალხისათვის, თუნდა იგი ისეთიც იყოს, როგორიც მაგ. „საქართველოა“. ზემო აღნიშნული ავტორი უფრო შორსაც მიღის. მისი აზრით — „პრესსაში“ გამოთქმულ აზრს ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს (*). თუ ამ, განსაკუთრებული სისწორით გამოთქმულ, აზრს სახელმძღვანელო მუნებათ დავისახავთ, მაშინ ჩვენს წინაშე წარმოსდგება უდიდესი, უსაჭიროესი, უძვირფასესი, უჩქარესი, ულრამესი, და უაღრესი საზრუნავი.

ამხანაგებო! ვიცი თქვენ თითონაც შენიშნავდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაზ. „ზეირთი“ გამოდის, პირდაპირ „პრესსიდან“ შეიტყობით, რომ ჩვენ, დასელ მუშებს არა გვყვავს არც ერთი სავარგისი უურნალისტი, ანუ პრესის მებრძოლი.

ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტ უნუგშო მდგომარეობაში უურნალისტი ან-ია. რაღა ჩემი და ან ბ-ნი თედორე ლლონტის ლაპარაკი გვირიათ ამაზე, თქვენ თითონ კითხულობთ მის „ნაჩხაბნებს“ აგერ მეოცე წელიწადია, თუ მეტი არა. არც სტილი, არც ენა, არც კილო მას არა აქვს ისეთი, როგორიც თუნდ უბრიალო უედერალისტს, (დიდებზე, როგორიც თ. ლლონტია აღარაფერს აღარ ვიტყვი). თუმცა ენა, სტილი და კილო არ უვარგა უურნალისტ ან-ს, სამაგიეროთ შინაარსიც აღარ არის მის ნაწერებში. ბ-ნი თ. დლონტი, ეს ბრწყინვალე ვარსკვლავი ქართ. ფედერალისტთა „უა ფირუზ-ხმელეთ ზურმუხტისა“ პირდაპირ სასაკილოთ გვიგდებს. იგი სწერს: „სა-

არავ და განსაკუთრებულია ან-ის უცოდინარება სახელმწიფო უფლების ელემენტარულ საგნებისა და, რა თქმა უნდა ასეთ შირთბებში ჯერ დექციას მთხმენა შამც საჭიროა, ვიდრე რისიანათ წერა“.

ამხანაგებო! გაიხსნეთ აპ. წ-ძის საისტორიო სიტყვები, რომ „პრესსა ანგარიშის გაწევა უნდა“ და დაუფაქტირდით ფედერალისტთა ბელადის თ. ლლონტის სიტყვებს. სირცევილი ჩვენ და საყვედური! ნუთუ დასელ მუშებს არ შეგვიძლია ჩვენი მწერლისთვის ერთი მასწავლებლის შოვნა? უყურადღებობა და გულგრილობა გვეპატიებოდა, თუ რომ მასწავლებლის შოვნა ყოფილიყო საძნელო. მაგრამ ამ მხრივ ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყეფს*). მასწავლებელთა რიცხვი ლეგიონია. მე აქ ჩამოვთვლი მარტო ისეთებს, რომელთაც ყველა მეცნიერები ათასჯერ გადაუღევ-გადაუცოხნიათ და სახელმწიფო უფლებათა ცოდნით ქვეყანას აკვირებენ. ით ისინი ლირსებისა და არა ალფავიტის მიხედვით:

გრიგოლ ამაღლობელი.

ოველორე ლლონტი.

გრ. ლილიძე.

არჩ. ჯა—შვილი.

ს. დადიანი.

ბ ნი შინაური.

ბ-ნი მეგობარი.

ბ-ნი სიტყვა.

გ. მაიაშვილი.

ხოლო დასასრულ შეიძლები შევაწუხოთ თვით ბ-ნი გერონტი ქიქოძე, რომელიც (იმედი მაქვს) ქველი ნაცნობობით მაინც დაგვდებს ხათრს.

ჩემო ძეირფასნო! აქ მხოლოდ ერთაღ-ერთი დაბრკოლება შეიძლება გადაგველობოს წინ, ეს ფინანსიური ვითარება. ით რას უნდა გაეშიოს ამ შემთხვევაში ანგარიში. საყარელი ან-ის გათვით-ცხობიერება და კეთილ გზაზე დაყენება ყველა მათგანს სწყურია. მე დარწმუნებული ვარ, ზოგიერთს იმედიცა აქვს მისგან გვარიანი უურნალისტი გამოიყენოს, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ვეკინიერ-უურნალისტები კარგ ცხოვრებას არიან ჩემულნი და მარტო ქველმოქმედებითი მიზნით არ იკისრებენ ამ მძიმე შრომას. აღმათ გაიგეთ რაშია საქმე.

*) რასაკვირველია სიტყვა „ანგარიში“ ფულის მხრივ არ უნდა იქნას გაგებული.

*) თუ მაინც იყენებიან, რა ვუყოთ, ქარი წაიღებს. ეშმაკი.

ამ ხელმძღვანელთა შორის მე განსაკუთრებულს თქვენს ყურადღებას მივაჯავეავ, თელორელლონტის პიროვნებას. იგი კეშმარიტათ რომ ღირსეულია ღირსეულთა შორის და მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ მისი ნაწერი ალათ არ წაგიკითხავთ, მაინც იცნობთ მის გონებრივ სიდიადეს და ზეურნალისტობას, რომ ამ თქვენ ეგრე ვთქვათ სულიერ ნაცნობობას ხორცი შევასხა, ვათავსებ აქვე მის სურათს სულ ბოლო დღეებში გადაღებულს მხატვარი „კრიპუჭის“ მიერ.

ტოტიკი.



თევდორე ღლლონტი.

კანონ-პროექტი.

(ქაჯეთის სამსედრო სამინისტროს)

ფოთში.

იღიღოს ძალა ჯოჯოხეონისა
თვით უკუპრესი

რადგანაც ქაჯებს შამოულიათ
სამხედრო წესი.

აწ მოვახსენებ ყოველთა მფარველ
თქვენ სიბრელესა,
რომ ჩენ განვიყდით ეროვნულ ჩაგრის
დიდ სიძნელესა.

ამავე მიზნით პროექტს ვაახლებ
სამინისტროსა
არ ვსცნობ საჭიროთ ნეიტრალიტეტს
ამ ომის დროსა.

ჩენ გვინდა ომი, იგი რაც უნდა
მსხვერპლს მოითხოვდეს,
მხოლოთ ქაჯეთის ტერიტორია
კი გაფართოვდეს.

გამოვარჩიოთ რომელიც ჯობდეს
ჯოჯოხეთადა,
ჩენი მხედრობით თავზე დავესხათ
იმას ერთადა.

შევმუსროთ მტერი სასტიკი ბრძოლით
ცეცხლის გვარითა
დაჭრილ დახოცილთ რომ ვაცურებდეთ
სისხლის ღვარითა.

მხარე რომელიც ჯოჯოხეს ულიტს
დასაპყრობათა
თან შიგ მცხოვრები ქაჯებისათვის
მოსამხრობათა.

გაუვალი და მოუხმარელი
ადამთა ტომის
მთელი მიდამო უკვე ცნობილი
პალიასტომის.

პოლიტიკურად სიბრელე იცავს
ირგვლივ წყვდიადი,
მდებარეობით საჯოჯოხეთო
აქტს ხვაშიადი.

ქუჩის სიბრელე შიგ აღარ უშვებს
მზეს და მოვარესა,

ელექტრონ-ჭრაქზე მუდამ მტირალსა
მგლოვიარესა.

თავს დასტრიალებს „გრიგოლ მნათობი“
ჩირალდანითა.

მარა სიბრელეს იგი ველარ სძლევს
ერთი წამითა.

(შამოდგომაზე „ეწერა“*) დასწვავენ
მან იცის ალი

სინათლეს მაშინ თუ ნახავს მხოლოდ
მცხოვრებთა თვალი)

ზღვა თუ მდინარე ამა ქალაქზე
მოდებულია,

ნავთ საყუდელათ თუმცა ძველთაგან
წოდებულია,

შაინც არა ჰავს თანამედროვეს
აგი ქალაქსა

და ვერც დაიკერს ამ პირობებში
ამგარ ალაგსა.

შამოსავალის არა ვიცით რა
ვალი აქვს დიდი,

ქუჩებში ლაფი და მდინარეზე
დაშლილი ხილი.

არცა თეატრი, არცა სახალხო
უნივერსტეტი

აქ ვერ ხეირობს ყავა ხანის და
სირაჯის მეტი.

ქალაქსა ამას მას უმსა შინა
თუმც ება თავი

ვისაც უქრიდა ქეუა გონება,
კალამი, მკლავი.

მაინც ვერ შესძლო ამის ქალაქათ
გადაკეთება

თუმც ბევრი ნახა შრომა და ჯაფა
შიში, ფეთება.

კაცი იბრძოდეს და იმ ბრძოლაში
რომ წაიბორკოს,

ჯილდოს მაგივრათ დამნაშავისას
უდგამდენ ჯორკოს**)

რა თავში იხლის ასეთ ადგილზე
მოლვაწეობას,

რაღა ფასი აქვს მის სიმამაცეს,
სიბრძნეს, მხერობას?

მიტომ ქალაქს მოსტილდა თავი
ეს ერთად ერთი,

განრისხდა მასზე ვით ჯოჯოხეთზე
საბაო ღმეობი.

ღვრია წყალს იქა არჩია სხევაგან
ღვინო კახური

და გახდა კიდეც ახალ რკინის გზის
თავი მსახური.

ქალაქი ესე დარჩა უთაოდ
და უფეხოთა,
მისი ხმოსნებით ჩვენ რა უნდა
დავიკვეხოთა.

ხშიანი მათში ხელის თითებზე
რომ ჩამოვთვალოთ
(პირჯვრის საწერი სამი თითებიც
შიგ არ ჩაეთვალოთ,
უხმო ხმოსნებზე გადასაწერათ
ჯვარის სახისა

ყოველ კითხვაზე „ამინ უფალოს“
რომ იძახისა).

სწორი გამოვა თვითმართველობის
ბუხგალტერია,
აგი ჩემს გარდა სხევასაც უზქამს
და უწერია.

თუნდაც შეველე*) ამა ქალაქის
ნაჩალევისა**)

უხმოთ მიმღები დამშეულ ხალხის
კრულვა-წყევისა,
არცა ესმის რა სხვის გასაჭირზე
არც დასძრავს ენას,
ქართულათ ირცვის და ერიდება
„ეროვნულ“ წყენას,
რადგან სიმშილიც ამავე მიზნით
„შორს“ განიჭერიტა
(თუმც მშეირ გლეხზე თავადი ბჭობდა
მაძლარი კიტა).

სასამართლოში ჩვენება ვერ სთქვა
ნაკურითხმა თავმა,
შაყურებლებში იქვიც დაბადა
ამ სანახაებმა.

მისმარკობს კიდეც დიქტატორობაც
რომ ერჩის კმარა,
(თუმც აფთიაში რაც მოისურვა
ვერ მოაგვარა)

კრიტიკა სურდა პროვიზორის თუ
მედიცინისა,

*) ეწერა—სა თ და ი ა ვ ე რ ა .

**) წორქა— სამის წ ც ს ა რ ა დ ა ც ი რ ა ც ი რ ა ,

*) შეველე—ყანის მცველი.

**) „ასლევი—გარღოვილი ყანა .

ავი და კარგი არ იცის კია
ქინჯქინისა.
მოქალაქენი შანტაეისტების
ბრძოს ემონების,
თუ არ გემოძათ მათი ნებართვა
ცხოვრებ-ქონების,
შვა გულ ბაზარში მოულოდნელად
გაგაფორებენ
ამ წუთის სოფელს „პროგრამის“ ძალით
მოგაშორებენ.
ქაჯთა სარდლებო! ეგ საბუთები
იქმაროთ უნდა
ჩემი პროექტი სტრატეგიულათ
თუ არ გამტყუნდა,
არც ის იფიქროთ ეს აზრი მარტო
მე ხომ ვით ცოდვილს თვით ტარტაროზი
ვამომეცხადა
და მითხრა მტკიცეთ: „სამინისტროში
შენს აზრს ვიცავო,
გაფიცვან კიდეც ჯოჯოხეთ-ცეცხლის
ძალას ვფიცავო“.
თუ აგრე მოხდეს, წამოიცვანეთ
ჩენი ჯარები,
შემოანგრიერ ჯიხურის*) ციხის
ძევლი კარები.
შხანკოლაც მოდის ფიჩორის ფლოტით,
/ ნაღმისნებითა,
მტერი ეგების კიდეც დაგვნებდეს
თავის ნებითა,
თუ დაგვჭირდება მე შზათ ვიქნები
ჰაერის ფლოტით,
ბუტუნას ტიპი ცეცლინისას
სჯობია ცოტით.

ბუტუნა

*) ჯიხური გურიელ-დადიანის საომარი ციხე-სიმაგრე.

დეპეშები.

ფოთი. სერგია კურნიას ხე-ტყის ქარხანას შანტაეისტებმა ცეცხლი წაუკიდეს, მარა ქარხნის გამზემ აღრე გაიგო და ცეცხლიც ჩაქრეს. მიზე-ზათ იმ „10 ათასი მანეთის გადაუხთელობას ასახე-ლებენ, რომელსაც შანტაეისტები კურნიას ევალე-ბიან, ხოლო უკანასკნელი კი ჯიუტობს გადახოთას.

— შექანხებებმა: იმნაძემ მოასრავეშეოდას მიუხედა-ვათ დიდი შრომისა და ხარჯებისა, ჯერაც ევრ მიაკვ-ლიეს თავიანთ „მოვალეებს“, რომლებიც მხოლოდ 5 ათასით სჯერდებიან. ბოროტი ენები ამზობენ „შვაკაცები“ მეტს სარგებლობენ ვინები თვით შან-ტაეისტებით.


— ვაჭიროშ ჟმოსნებმა: ცეცვაშვილმა, რუხაძემ, გოგონავამ და სხვა. თავისი დანისებით მთავრობა-სთან შესძლეს იმ დადგენილების დარღვევა, რომ-ლითაც ქალაქმა იჯარით გადასცა აღგილობრივ კონფერაციებს ფურნე და მაღაზია. კითხვა ხელ ახლა გაირჩევა მარა ამ მედანისე ვაჟ-ბატონებს კოოპ. საჩ. წევრები „ჯილდოს“ უმზადებენ.

— **ბ-6ი ტყებმალაძე** ვერ დადგა კაი გუნება-ზე იაგულოვისა და აფთიაქის პროცესით. „უტუს ჯარი“ ცნობილი სარდლების (ბათლომე უ თე-დორებს) მეთაურობით ბ-6 ნიკოლაძეს დაეცენ ჩა-მოსვლისთანავე. ამბობენ ულტიმატუმი წარუდგი-ნეს ნიკოლაძეს. მიზეზი ტყემალაძის მოღვაწეობაზ უნდა იყოს.

— ექიმ ტერ-ნიკოგოსოვის ბინაზე რუმინიული ნიადაგზე შეხლა მოხდა ბ-6 ტერ-ნიკოგოსოვისა და გერზეულის შორის; ბრძოლის დროს მოზავრა-ბაში „გორნიჩა“ მოპყოლია და საგრძლობლათ დაზიანებულა.


გმოსარკვევია მხოლოდ ის, თუ ვის უნდა დაედოს ბრალი „გორნიჩას“ დაზიანებაში. სა-კიროა ოპერაცია.

ბუტუნას საგენტო.




სარევიზიო კომისია.

(გეძღვნი უფელა სარევიზიო კომისიებს და მათ
ამრჩევებს)



ჩვენ: მე და ნიკომ,
სიკომ და ბიკომ,
საქმე დავიწყეთ საკომერციო.
გმიგეთ დადგომა
მე თითონ მსურდა,
მაგრამ ნიკომ სოჭვა: „აქ მომეციო“.
და რადგან იყი
ყველაზე მორცხვი
და სანდო იყო ჩვენ ოთხთა შორის,
იდგა გარეშე
პირტიებისა
პატიოსნება წმინდანთა სწორის,
ჩვენც გადავეცით
ჩვენი ქონება
თითო თუმანი (ქალალდის ფული)




და გავაჩალეთ
შექრით გაქრობა,
ამ დარგით ვიყავ გატაცებული.
განა ვის ძალუძს
უშაქროდ ყოფნა
ვისაც კი უვის პირისა გემო


და ფასი მისი
ამისღავარად
თქვენც მოგხსენდებათ, ბატონო ჩემო!




და რომ ჩვენს გამგეს
არ ეეშმაკნა,
და არ გაეცა ხალხზე ნისია,
მას მიუყენეთ
ყურის მგლებელათ
სარევიზიო, მხნე კომისია.
დიდათ სასტიკი,
საქმისა მცოდნე,
ენერგიული, შორს გამშვრელიო...
გამგესთან ერთად
მის სიცხიზლეზე
ჩვენ დავაშუარეთ იშედი მოელი.




გაჭრობამ უკვე
ფრთხი გაშალა!
ჩარჩებს დაუდგათ ცხოვრება ცუდი.
ჩვენი სავაჭრო
დუქნის წინაშე
მარად-უამს იდგა ასეთი კუდი.




ერთ დილას, გამგემ
სულ პაწაწინა
შაქრის ნატეხი ჩაიდო პირში
და კომისია,
(რომ ქურდობისთვის
ძმარი ედნა გამგისთვის ცხვირში).
არც განძრეულა,
იდგა ვით შტერი
თუმც დაინახა შაქრის ნაჭერი.



მეორე დღითი
გამგე ბატონშია
ჩვენი ქონების სრულმა პატრონშია
(სალაშო ხანი
რო მოატანი)
ნაჭერები გარეთ გამოიტანა.
სარევიზიო
კომისია-კი
იდგა უძრავათ ვითა ჯირეკი.



ეს გულგრილობა
გამგეს ეოცა,
და სხვა ნაჭრები მიმაღლა როცა,
მობრუნდა უკან
და კომისია
ახლოს გასინჯა რის მაქნისია.
ჯერ ნელა-ნელა
მიჩოჩდა ახლო...
ბოლოს ნიკაზე ხელიც კი ახლო
და მყის დარწმუნდა
ეს ქურდ-ბაცაცა,
რომ მის წინაშე იდგა ცუდ-კაცა.



მივედით ჩვენ სამნი,
მივედით დუქანსა
ველოდით სარგებელს ბლომად და მსუქანსა,
ალარც შაქარი,
ალარც ქანქარი,
ალარსად ნაღდი, არსად ნისია...
კარებში ნიკო
ჩაცუცქებულა
დუქანში ობლად სდგას კომისია.

ეშვაცი.

წერილი გორიდან.

(უშმდევნი გორები კორესპონდენციას)

აგერ ეს ათი წელიწადია, რაც მე კორესპონდენცი გახლავარ და ამისთანა დროს ჯერ არ შევსწრებივარ. არ ვიცი ხალხი გამოიცვალა, თუ მე თითონ გადამიბრუნდა ტფინი და თავ-ტანისა ველარა გამიგია რა. ერთში-კი უნდა დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ რასაც მე მოგახსენებთ სრული სიმართლეა. მე დიდი ხნის კორესპონდენცი გახლავარ ერთი, ფრიათ გამოჩენილი, ლიტერატურულ-პოლიტიკური ორგანიზაციის და ამბებს ფორო-გრაფიული სისწორით გადავსცემ. ღმერთმა შეარცხევინა ჩემთან მიშჩენკო და კლარი...!

როდესაც წერის, ანუ უკეთ რომ მოგახსენოთ, „ვარსკლავთა ცეციის“ სალერდელი ამეშლება ხოლმე გადვიკიდებ გულა წამადს და ჩემი აპარატით გავეშურები გორიჯვრის მთისკენ. აქ მაღლობიდან გადმოვცერი და ვხატავ გორის არე მარეს.

იმ დღეს, როდესაც გორის მიღამოებს ვათვალიერებდი, ერთი საშინელი სურათი აღმიღდგა თვალ წინ. თქენებ, რასაკვირველია, მოგეხსენებათ გორის ციხე. აუარებელი მტრის ლაშქარი, ასე ხუთ მილიონადის მაინც, მოსდგომოდა მას და 42 სანტრიმეტრიან ზარბაზნებს გრიალი გაუდიოდათ. გორის ციხე-კი იდგა შეერტყეველი... ის, ის იყო, მტერი უნდა უკან გაბრუნებულიყო შერტყენილი, მაგრამ მოღალატებს არ ეძინათ. ჩვენებურმა „დასელებმა“ მტერს ჩუმად ციხის გასაღები გადასცეს და ქალაქს მაღლები შემოესია მტრის ლაშქარი. წინ მათ „დაშაკუპაკანები“ მოუქლოდენ და რაღაცას მდეროდნენ „წიწერნაკის“ ხმაზე. ეს ჯარი ამ უამად დაბანაკებულია გორის ციხეში და დღე-დღეზე გამოსვლას პირებს მთელი ქართლის ასახერებლად. გორელებს-კი სული კბილით უჭირავთ...

გუშინ წინ ქ. გორში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წლიური კრება იყო. კრებამ ჩინებულიათ ჩაიარა, მაგრამ ბოლოს აქაც „დასელებმა“ გამოყვეს თავი. ერთი ვაჟატონი კრებაზე შემოვიდა და გახელებული ყვიროდა: ვინდა თუ არა ემ საათში წერა-კითხის ქართული საზოგადოება უნდა გადაკონსაპოლიტიკოთ. ხელში მას ყუმბარება ეჭირა და უვთქებას უპირებდა მთელ შენობას. ამ ვაება-ტონის წყალობით კრება დაიშალა და ხალხი ნეკსი პროსპექტისაკენ გაემართა.

იმავე დღეს, საღამოს 8 ს. გორის „მარინსკი თეატრში“ წარმოდგენილი იქმა რაფიელ ერისთავის კომედია ჰამლეტი. მონაწილეობას იღებდა გორის დრამატიული დასი. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა აპოთეოზი. ერთმა მაგდილოსანმა წაიკითხა შევენიერი ლექსი „მოდი ვნახოთ ვნახაი...“. მსმენელებზე ლექსმა დადი შთაბეჭდილება დასტოვა. ჰაწია გოგონებმა უეღარ შეიკავეს თავი და კრიალოსნებად ასამული ცრემლები გადმოღვარეს. დასელები დემონსტრატიულად არ დაესწრენ წარმოდგენას...

მკითხველს უეჭველია ეცოდინება, რომ გორში სახალხო უნივერსიტეტი არსებობს. ეს უმაღლესი სასწავლებელი ათი წელიწადია რაც არსებობს და დღემდის არც ერთი ფაკულტეტი არ გაუსწია. თუმცა მისმა მესვეურებმა დაიწყეს მუშაობა, მაგრამ ხალხის განათლება მათ უცხო ენაზე უნდობდათ. მაგალითად ამ სამი წლის განმავლობაში 5 ლექცია წაიკითხეს თათრულად, 10 სპარსულად 8 ლექციურად, 20 ყიზილბაშურად და ქართულად კი არც ერთი... ასეთია ჩვენი კოსმოპოლიტების საქმიანობა...

დღეს დილით სასწორზე გახლდით. ვერ წარმოიდგენთ გორში ამ ბოლო დროს ცხოვრება როგორ გაიაფდა. ურემი შეში ღირს ათი შაური. გირვანქა ხორცი— 3 კაპეიკი. (სუკებს მუქთად იძლევიან). კვერცხი— 20 ერთი შაური. ქათამი თითო სამი შაური. ინდოური ხუთი შაური. გოჭი სამი აბაზი. კორესპონდენცი წყვილი სამი შაური. თუ ჩემისთანა ექვსი შაური. აქაურმა ქართველმა ვაჭრებმა პირი შეპრეს, სომხებს ნულარაფერს მივყიდითო. მაგრამ ჩვენებურმა დასელებმა აქაც სამშობლოს ლალატი დაიწყეს. გეგნი-კი ხალხი არ არიან! გაიძახიან სულელებივით. თქმა არ უნდა, რომ მათი აღვირ-ასხილი საქციელი და ლაზლანდარობა ჩვენი ერის დაღუპვას მოასწავებს.

დასასრულ ნება შიბოძეთ ჩვენი ქალაქის თვითმართველობის საქმებზედაც ირიოდე სიტუაცია მოგახსენოთ. როგორც ვიცით, ქალაქის თავის და ხმოსნების შორის შავმა კარამ გაირბინა. ერთად ერთი ბრალდება, რომელიც მას წამოუყენეს, იყო ის, რომ „პენსიებს“ რად ატარებო. მაგრამ თუ მიმიქეტიურად შეეხედათ მის მოღვაწეობას, ჩვენ უეჭველია დავანაბაცე, რომ ჩვენმა საყვარალმა ქალაქის თავმა ბევრი რამე გაკეთა გორისთვის. ამ მოკლედ მისი მოღვაწეობის შედეგები ამ სამიოდ

შელიწადში: 1—გორის ციცაბო ციხეზე მან, ე. ო. ქალაქის თავშა, ფუნიკულინი გაიყანა, 2—ატენი, ხილისთავი, მეჯვრისხევი და ცხინვალი ქალაქ გორს შემოუყრითა. 3—გორიჯვრის მთის და გორის ციხეს შეუ ჰაერში დაკიდული ხილი გასდო, რომელზედაც მატარებელი დადის. 4—გორის ქუჩებზე ყველგან სარკები დააგო, ისე რომ კალაშების ყიდვა იღიავის უნდა. 5—ხილის ყურჩე მან აღმართა დიდებული ძეგლი, რომელსაც თავი არა აქვს გამობმული. საბრალო დასელებს უკვირდათ მისი უთაობა, მაგრამ რა ესმით ამ უხელურებებს ხელოვნებისა. მექანდაკე დეკანდენტი იყო და მან სიმბოსიური ძეგლი ჩამოასხა. შცოლნე პირები ამტკიცებენ, რომ ამ უთაო ძეგლში ღრმა იდეია ჩამარხული.. 6—მტკიცებზე ქალაქის თავშა სამი შესანიშნავი ხილი გასდო. თითო ხილი დაჯდა ნ მილიარდი ლოლარი. ხილები ისეთი გეგმით არიან აშენებული, რომ თავისთვალ იკეცებიან და იშლებიან. 7—მართლა, დამავიწყდა, ერთი უკვდავი ძეგლი კიდევ აგო თვითმართველობის შენობის წინ, რომელსაც ზედ აწერია № 3007. მეცნიერები თავს იმტკიცენ და ვერ გაიგეს, რას ნიშავს ეს ნომერი.. 7—ქალაქ გორის ბიუჯეტი მან 20 მილიარდ მანეტომბის იყვანა. ქალაქს დალები სრულიად მოაშორა და დაგირავებული მიწები სრულიად გამოიხსნა. 8—გორის მამულებმა მის ხელში ერთი ასჯერ იმატეს. 9—განათებას ხომ ნულარ იტყვით. ჩვენ აქ მისი წყალობით ახალი „მოლის“ ელექტრონის განათება გვაქვს. ლამეში ოცუჯერ აინთება და ჩაქრება თავისთავად. ამბობენ აქაური ელექტრონი სულიერი არსებაა და და ვიღასაც ერმუყბაო. 10—თვითმართველობაში ეხლა საუცხოვო წესი სუფექს. მიწერ-მოწერა სულ საიდუმლოდ წარმოებს. თვითეულ კონვერტს ზედ ას აწერია: „ძალზედ საიდუმლოდ“... 11—გორში დღეს ფეხით აღარივინ დადის. აქაურ ბირჯაზე 1000 ავტომბილი მუშაობს. ტრამვაი ხომ ჩინებული გვაქვს ნ კაპ. ცხინვალში დღეში ოჯახელ აირბენ და ჩამოირჩენ. 12—კანალიზაცია და წყალსადენი ხომ ანტივა... იმ დღეს ამტკიციდან ვიღაც „ინჯილრები“ ჩამოვიდენ გორში... უნდობათ ჩუმად გეგმა გადაეღოთ, მაგრამ ვერ მიართვეს. გეგმა არავინ მისცა და ხახ მშრალები გაისტუმრეს სახლში.

ასეთია ჩვენი ქალაქის თევზს მოღვაწვეობის უზრუნველყოფა. მაგრამ აქაც დასელების ინტრიგამ გაუკეთდეთ და ქალაქის თავი მისულებს რომ წასუ-

ლიყო. გამოთხოვების დროს ერთი დიდი ამაგი კიდევ დასდო თავის სამშობლოს. ქ. გორის ქუჩებს სულ ახალი სახელები მისცა: ეხლა ჩვენი გვაქვს ასეთი ქუჩები: ილ. ჰავკავაძესი, აკაკისა, ნიკო ლომოურისა, ვაჟა ფშაველასი, შიო მღვიმელისა, ახა შელისა გრიშაშეიანსა, ახოსპირელისა და სხვ... უკველია ჩვენი დასელები ახალ ქალაქის თავს მოიწვევენ და წაშლიან ამ ძეირფას სახელებს. წე თუ ასეთი ლაზლანდარობა მათ უნდა შევარჩინოთ?**).

ჭკიპურო.

შ ა რ ი რ ი დ ა

შარადის გამოსათქმელიად
კალაბს მოვკიდე ხელია;
რა უშავს გამომზეურდეს
ზოგი საქმენი ბნელია...

მონახეთ სიტყვა, რომელიც
ბევრჯერ შეგხვდებათ დღეშია,
ყველა ქვეყნას ბლობათ ჰყავს,
მეტად დიდ ქალაქებშია.
სხვას კვებავს, თვითონ კი შია,
ყველა მას უქერს ყელშია,
მაგრამ მტარვალებს ჩააგდებს
ერთ დროს ის განსაცდელშია.
შერსა უძიებს სისტივად,
თვით შევა სამოთხეშია.

ამა სიტყვისა, უთუოდ,
გვინდა პირველი მარცალი,
მე კი სხვას გამოუდები,
თუ არ მომაკლდა საგზალი.

* „ესმაკის მათრახის“ რედაქტირ უღრმეს მადლობას უძღვინს თანამშობლოელ „წყაპურებს“, რომლის მეობებით ჩვენი მეითხველები შეიგნებენ, თუ რას ნიშავს „ფაროვრა-ფიული სისტორით ვარსკელათა ყეფა“, ანუ მდაბით რომ ვსთვეთ, რას ნიშავს ნამდებილი კარესპონდენტობა. ეს გაიღებით ცხადი იქნება გარელ მეითხველობა და „სახალხო ფურულის“ რედაქტორისათვის. ამ უკანასკნელმა როგორც ვიტო, დიდი გუგურდება მიაქცია აღნიშულ აგრძოს, რასაც შედეგად მოჰყვა „სახალხო ფურულის“ 408 ნომრზე გონიგრუოდ და კრისტიან გონიგრუოდ თავისიც მოჰყვა „კორელი კოსმოს“ ათლიტები“.

დროა შევაღოთ ნელ-ნელა
სასწავლებლისა კარები—
და საშვალება ვეძიოთ
ლარიბთა დასხმარები.
ყველა უსახსრო მოწაფეთ
მისკენ უჭირავს თვალები,
მაგრამ ფონზედა ის გადის,
ვის წყალობს შევი ძალები.

სიტყვისა თავში მდგომარე
ვიუფლოთ სამნი ასონი,
და შირიდისთვის ვიხმაროთ
თუ კი მოადგეს „ფასონი“.

ეხლო დახევა გვინდება
წელიწადითა ათითა,
როცა მინისტრი, აშ მკედარი,
(სწორეთ ბისმარკის თავითა)
„ბედნიერს“ ყოფდა რასეთსა
„დიადი შეღავთითა“,
სიტყვითა შემოღებული
უმაღლ წაიღეს საქმითა.
იმ მანიუესტით ალტენლი
„ბედნიერების“ სახელი,
აქ გამოგვადგეს ეგება
და ჰყოს შარადა ნათელი
მაგრამ მთლად აღარ გვარგია,
სამი მარცვალი გვინდება,
ისიც სიტყვისა ბოლოდან
სცადე, ნუ შეგეშინდება.

—
შარადა უკვე მზათაა,
და ამხსნელისთვის ცხადია,
რომ დამტირება ვისიმე
ამითი არა მწადია...
მაგრამ, ვით ეპიდემია,
ლაზარეთებში მძვინვარებს,
არ ასვენებენ ავალმყოფთ
დაჭრილებსა და მძინარებს.

ერიომა.



დალაქის წერილი ამხანაგთან

(წერილი საიქითხა)

ვუძღვი ბ. ვ. ს

ძმაო, არშაკ, რომ იცოდე რა მივქარე და
თავი ქვას ვახალე, რომ შენ გაეყავი და იქთ წა-
მოველი. რა მრჯიდა ვყოფილიყვით ერთად და
გემრიელი ლუკმა გვეკამა, მაგრამ გაუმაძრობამ,
ხომ იცი, მე კი არა მილოვი და ადელხანვიც კი
შააცდინა და თავზე ლაფი დაასხა. ვიფიქრე მილი-
ონბით ხალხი დაიხოცა ვაინში, წავალ საიქიოს,
ერთ ცირულნის გავხსნი და ფულის პატრონი
გავხდები მეთქი. ჩამოველი თუ არა ერთ ადგილას
ბლომათ მიცვალებულები შავაგულე. ისე იყვნენ
ჩაწყობილნი, გეგონებოდა სარდინეაო. ვიფიქრე
აქ ხშირი უბანია და კარგი ზარაბოტკა შექნება
მეთქი. დავაბირე დუქნის გახსნა, მაგრამ რას გახსნი!
ამდენ ხალხში არც ერთს თავზე ბალანი არა ჰქონ-
და და წვერვულფაშის ნასხი ხომ სულ არ ეტყო-
ბოდათ. ვიფიქრე, ნამდვილათ ქაჩების უბანში
მოვსულვარმეთქი და ისევ სხვა უბანში გავაღე დუ-
ქანი. უყურე ერთი დღე, მეორე, მაგრამ არავინ
ეკარება დუქანს! ისეთ დღეში ვარ რომ გახვრე-
ტილი გროში მენატრება. მერე შავეკითხე. ხალხნო
ეს რა ამბავია! ნეუჟელი ამოტოლა უბანში ერთმა
დალაქმა ვერ უნდა იხეიროს მეთქი! ჩემ სიტყვაზე
გაეცინათ და მითხრეს: „ეე, ჩემთ ძმაო, დალაქი
რა ეშმაკათ გვინდა. თუ სადმე თმა და წვერი
გვქონდა სულ იმ ულმერთო პრისტავებმა დაგვა-
გლიჯესო“. რაღას ვიზამდი ავიკარი გულა ნაბადი
და გავსწიე სხვა უბანისკენ. გზაზე მამაგონდა: მოდი
ერთი არტისტების უბანში დავბინავდები, ვნახოთ
იქნება ეყაროს ამა მეთქი და გავსწიე იქითკენ.
მართალია იმ ქვეყნათ გაფუფქული ორრივით მატ-
ვლებილ სახეს ატარებდნენ, მაგრამ აქ ხომ პრის-
ტავლენია არ არის და ნამდვილათ წვერვულფაში
ექნებათ და სამუშაოს ვიშოვი მეთქი. მიველი მაგ-
რამ რას ნახავ! აქ უფრო უარეს დღეში ვნახე ეს
საცოდავები. მანდ მაინც სამართებლით ჰქონდათ
მოპარსული წვერ ულფაში და აქ კი სულ დაგლე-
ჯილი აქვთ საწყლებს. იმ უნაშსო მიკირნებს და-
უგლეჯით — ნახარჯი რომ არ მიუციათ.

რაკი ესე ფინთათ წამივიდა საქმე, გადავსწყვი-
ტი ღვდლების უბანში წავალ და იქ კი ნამდვილათ

ხეირი იქნება მეთქი. ამ ქვეყანაში ხომ სლაბოლები არიან და სტრიუქა-ბრიტიას არავინ დაუშლის მეთქი. ეს აზრი მამეწონა და გავსწიე. მიველი მაგრამ რა ვნახე! რაც ქვეყანაზე ღვდლები ყოფილიან სულ აქ მოგროვილან. ვიფიქრე ნამდვილათ ქელებია და გასაძლომათ შაყრილან მეთქი. ჩამეცინა ულვაშებში. ამდენი ღვდელი ყველა რომ მე გაფკრიკო ნამდვილათ გავკეთდები მეთქი, მაგრამ აქ უსრეს ნესჩასტიას წავაწყდი, ჩემო არშეა!

არი ასდის. მიერბივარ და ვყვირი: გოსპოდინ სეიაშ-ჩენიკ, ზაჩემ ვი სტრიგაიშ დრუგ-დრუეგა, ია ცი-რულნიკ ია ღური პასტრიგამი ვის მეთქი, მაგრამ სანამ მე მივიდოდი, მანამ სულ გაატყავეს ერთმანეთი. მოველი მაგრამ არც ერთს აღარა ჰქონდა არც თბა და აღარც წვერი! დაურჩი პირ ღია და ხახა მშრალი. ეხ, არშაკ, რომ იცოდე რა ღლები ვარ... მაიგონე, ბიჭო, ძეველი პურ-მარილი და გამამიგზანე გზის ფული, რომ წამოვიდე და აქაურობას მოვცილდე. ისევ ღმერთმა ააშენოს მანდაურობა, ისე როგორ გაფუჭდება საქმე, რომ ღლები თითო კრიძი ხაშის ფული მაინც არ ვიშოვო. მიშველე, არშაკ, იწამე ღმერთი, თორემ ვკვდები შიშიშილით.

გოგია.

ა ნ ბ ე ტ ა.

მკითხველო, ვერ ატყობ როგორ გამოიცვალა დრო? პურს ვერა ვშოულობთ თავის დროზე, ხორცა და ვერც სხვა სანვაგეს. სწორეთ გასჭირდა ცხოვრება და ვინ იცის რა მოგველის! სამწუხარო ისაა, რომ არავინ თავს არ იცხელებს ამ „ვინ იცის“ თავიდან აცდენისათვის! ახლა კი ჩვენში უურნალმა იკისრა ეს საქმე და სცდილობს იხსნას ქართველობა ამ უბედურებისაგან. თუ რამდენათ შეიძლებთ ამ საქმის გაკეთებას, ამას დრო გვაჩვენებს! ეხლა კი ნება მიბოძე გაგაცნო პირველი ნაბიჯი ჩვენი უურნალისა—ანკეტა ჩვენ მოღვაწეთა და ხელოვნთა შორის. კითხვა ასეთი იყო დასმული: „რა საშუალებით შეიძლება ასცდეს ჩვენს საქართველოს სიმშილობა?“

მივიღეთ პასუხები.

3. გოთუა

ვდგევარ გაჯავრებული და იღარ ვიცი საით გადავარდე. უცდე გავიხედე და დავინახე, რომ ორი ღვდელი მოდის. ვიფიქრე სანამ მოვლენ ვნახო იქნება თავი გამაკრევინონ და პურის ფული ვიშოვო მეთქი. ცოტა შაგებს მოუმატე და მიგრბივარ. ერთიც ვნახოთ ჩხუბი არ მოუვიდათ იმ ჩემი ცოდვით სავსეებს! თურმე მაგ ქვეყანაში მრევონზე ჰქონიათ ჩხუბი და ერთად რომ შაიყარნენ ძველი ნისიები მააგონდათ და დაუშინეს ერთმანეთს. შეიძნა შტურმის ვაინა. ისე აგალექან ერთმანეთს თბას და წვერს, რომ სულ ნაბუ-

(რუსულით მოგვწერა, მაგრამ ჩვენ ქართულად ვთარგმნეთ, რათა ყოველი ქართველისათვის ხელმისაწვდომი გაგვეხადა მისი ოქროდ ლირებული სიტყვები). თქვენ გსურთ გაიგოთ ჩემი „მნენიე“ (თარჯიმანი ცოტა შეზარხოშებული გამოგვადგა და ამ სიტყვის გადათარგმნა ველარ მოახერხა) თუ რა საშვალებით შეიძლება ავიცდინოთ ჩვენ, ქართველებმა თავიდან სურსათ-სანოვაგის კრიზისი? აი ჩემი პასუხი: ვიდრე ჩვენი საყვარელი დედა ქალაქი თბილისი (რომელიც ქართველებს ეკუთვნის, ქართველებსა გაიგეთ თუ არის) ხელში

ექნებათ ჩივარდნილი მილოვ—ადელხანოვ—ოსი-პიანკუ—ჩაჩიკიანკუ და სხვა და სხვა მის მაგვართ, საქართველოში არ იქნება უზრუნველყოფილი სურ-სათ სანოვაგით. მაში, განვართავისუფლოთ ჩვენი თბილისი მათგან და მაშინ... (საუბედუროთ შემ-დეგი სიტყვების თარგმნის დროს თარჯიშანი გარ-დაგვეცალა. იგი სიტყვებით დათვრა და მეტის მე-ტი ნაციონალური გრძნობით თავი გაუსქდა).

თ. ღლონტი.

ინტერნაციონალიზმი და ცენტრალიზაცია კონ-ფისკაციის კამპანიისა და კუჭის ორგანიზმი ერო-ბის შემოღებისა საქართველოში, მავალებს გარკვე-ულად ჩივარდნტრ-იერიში ყოველი ჩემი გრძნობა-ნი და მიმართულებანი კოლონიზაციასა და ფედე-რალიზაციას შორის. (შემდეგი იქნება)

ი. იმედაშვილი.

თუ რა გაჭირვების ტალ-კვესს განიცდის ჩე-ნი ხალხის ტაძრი და რითი შეიძლება თავიდან ავიცდინოთ ეს გაოგნება, ამის შესახებ უფრო დაწყრილებით შეგიძლიანთ ამთკითხოთ ჩემს „მო-ლვაწეთა ლექსიკონში“, მხოლოდ არ შემიძლიან აქ არ გამოვსთქვა ჩემი შიში, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ქურუმნმა ჩვენი სახიობისა.


ე. შმაეკი.

საქართველოს მაშინ ასცდება სურსათ-სანო-ვაგის კრიზისი და სხვა უბედურებანი, როდესაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და საქველმოქმედო საზოგადოება ყე-ლამდინ ივსებიან ჩემი მათ შესახებ დაწერილ ფე-ლეტონებით.

ა. ხატისოვი.

მე ვიზიარებ თქვენს მზრუნველობას ქართვე-ლებისადმი, რადგან ჩემი დევიზი: „დაეხმარე კვე-ლის, განურჩევლად წოდებისა, მიმართულებისა და ტომისა“. და იმიტომ წარმოვსთქვამ რამოდენი სიტყვას: ამ სამი წლის შემდეგ ნახევარ ვაგონ პუ-რის ფქვილს შემოგწირავთ დამშეულთა შორის განსანაწილებლათ.

საანკენტო კომისიის თავმჯდომარე გუგული.



ღრა წერილი

პ. ტივიცემულ პეტრე მირიანაშვილს.

დიდათ პატივცემულო ბ-ნო პეტრე!

როცა ქართული ენის შესახებ საქმე შემიღერ-ხდება, მაშინვე თქვენ გამახსენდებით ხოლმე და თუმცა დღემდისაც არა ერთხელ მოგიგონეთ გასა-კირის დროს, მაგრამ როგორც ხედავთ შეწუხებით დღეს პირველათ გაწუხებთ.

მას შემდეგ, რაც „კავკასიის სამეურნეო სა-ზოგადოებაში“ გოგირდის საქმე ჩაიხლართა, პრე-საში ხშირათ კედებოდი სახელს „უგანათლებულე-სი თავადი პეტრე გრუზინსკისას“.

არ იფიქროთ გოგირდის საქმეზე მედიატორეთ გნიშნავდეთ, ან მსურდეს ამ ბნელ საქმეში ჩამარ-ხული ძალლის თავის ძებნა. არა, სრულიადაც არა.

მე მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო მხო-ლოდ სიტყვას:

„უგანათლებულესი“.

გოგირდის ინციდენტის შემდეგ ჩივუკვირდი მე ამ სიტყვის აზრისა და ვფიქრობ, რომ ის არ უნდა გამოხატავდეს ქეშმარიტ შინაარსს რუსული სიტყვის ცვეტლენშამი-სას.

მე არც ქართული მესმის რიგიანათ და რუ-სულს ვინ მომაქვავებდა, მაინც მაინც მეონია, რომ სიტყვა „უგანათლებულესი“ წარმოსდგება „განათ-ლებულისაგან“ და ხომ შეიძლება ცვეტლენშამი თა-ვადი სრულიადაც არ იყოს განათლებული, არა თუ უგანათლებულესი.

გართალია, სამწუხაროთ, ბევრნი არა გვყვანან „უგანათლებულესი“ თავადნი, მაგრამ სასიამოვნო მაინც არ არის შეუფერებელი ზედშესრული სა-ხელი მივაჟუონოთ ვისმე. ამით შეიძლება ჩემის-თანა გულებრყვილო მკითხველი შეცდომაშიაც შევიყვანოთ.

მე მსურს თქვენი კომპენტენტური აზრი ვიცოდე მხოლოდ ამ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ, თუმ-ცა... გავკადნიერდები და კვლავ შეგაწუხებ, ისიც კი მინდოდა გამეგო, თუ რისთვის ჰქვია უგანათ-ლებულეს პეტრეს „გრუზინსკი“. ესეც ნათარგმნი გვარია, თუ ძველათ იყო საქართველოში ასეთი გვარი.

მე რასაკვირველია, ძლიერ მესიამოვნება, თუ თქვენ ჩემს წერილზე პასუხს „ეშმაკის მათრახის“

რედაქტიაში გამოიგზავნით, მაგრამ პასუხის ღირსიც რო არ გაგვხადოთ არც ის მეწყინება, თუ კი სადმე, თუნდაც გაზ. „საქრთველოში“ გამოარკვევთ ამ საკითხს. ვინ იცის, იქნებ სხვა მცოდნები პირებმაც მიაქციონ ამ ჩემს მუდარას ყურადღება... მაშინ ხომ თავს ბეღნიერათ ჩავთვლი.

მარადის თქვენი პატივისმცემელი
თენგიზ ფრიტაძე.

ჭერილი რედაქციას

ბ-ნო რედაქტორო!

განმეორებით ვსთხოვ ბ-ნ ისარს, თუ კი ის არ გაუტბის სამედიატორო სასამართლოს, დაუყონებლივ დაასახელოს თავის მხრივ მედიატორები.

მასწ. ილიკო მ. ქუთათელაძე.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქტია აცხადებს, რომ უკეთუ შემთხვევითი კორესპონდენტი, როგორიც იყო ბ-ნი ისარი და აგრეთვე ბუკნარელი კოსანდილე, თავის გასამართლებელ საბუთს არ წარმოადგენს: პირველი სამედიატორო სამსჯავროში, ხოლო მეორე ჩენეს რედაქტიაში, რედაქტია იძულებული იქნება გამოაქვეყნოს მათი ნამდვილი სახელი და გვარი შესაფერი განმარტებით.



„ეშმაკის მათრახის“ რედაქტია ამით აცხადებს, რომ უსახელო ავტორებისა და უცნობ პირთა წერილები უურნალში არ დაიბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენტის ვინაობას და წერილში აღნიშული ამბობის სისწორეს უნდა ამოწმებდეს ვინმე რედაქტიისათვის სანდო პირი.

სარედაქტო წერილი უნდა დაიწეროს ქალდის ცალ გვერდზე და ყოველ აღნუსხულ ამბავს თან ახლდეს საჭირო ახსნა-განმარტება.

რომ სარედაქტიო წერილი რედაქტიაში მოსკლამდე არ გახსნან, საჭიროა კონვერტზე აღრესის შემდეგ დაეწეროს: „ეშმაკის მათრახისათვის“.

უმარკო წერილებს რედაქტია არ იხსნის და დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

მაკრინეს ნათლიის. თქვენი ლექსი: „შოთა-სებური“.

„გული სესა შეეჭეწა
სისხლის ქრისტი გადანალეჭის“.

მართლაც ჩამოჰავა შოთას ნაწერს, რამეთუ თრი განაწერა ერთად 16 მარცვალს შეაღენს.

ბეღნიერია თქვენი ნათლული მაკრინე... არა იმიტომ, რომ „შოთასებური“ ნათლია ჰყავს, არა-მედ იმიტომ, რომ რამდენათაც ვიცით, ნათლიასა-გან მონათლულზე არავითარი მემკვიდრეობითი ნაკლი არ გადადის.

სამსონ სუჯუნის პირელს.

„ზღვათ, ზღვათ! თას ღელავ
არ ქმარა რაც რომ შენ დაღუბე?
გადმითარუნე გემი და
შორის, შორის იქთ გადაღუბე!!
მაგრამ ბოლომდის გერ გასტან
და გერ იმღერებ ჩენითა
ჩენებ ამოგაშრობა, შეგსეგაშო და
ამას შეგიძლებთ „ღერთოთა“.

ლმერთით რასაკვირველია ყველაფერი შეიძლება, მაგრამ თუ ზღვის შესმა გადაიწყვეტიათ, უფრთხილდით მაინც ნაღმი, წყალ-ქვეშა ნავი ან დრედნოუტი არ ჩაიყოლოთ.

ბ. ყვინჩილას. „ქურდი მთხლეზე დაიჭირეს“ რომ იტყვიან სწორედ თქვენ მოგივიდათ. თქვენი ლექსი „კაცო“.

„გარო, იცოდე ნაკერჩევდი სარ
ცეცხლები უსევნი
ბურუს მოუცავს მოშავდა,
წარსული შენი“.

მოპარულია ახალ-გაზრდა მეოსნის გრიგოლ ამაღლობელის ლექსიდან.



მიმღება ხელის-მოწერა 1916 წლისთვის.

ერგელ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ე მ მ ა პ ი ს ა ქ თ რ ა ხ ე ბ

უურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა,
ხოლო გამოცემის საჭმელს ა. გ. ბუკიძე.

უურნალის ფასი 12 თვით 5 პ. ♦ 6 თვით 3 პ. ♦ 3 თვით 1 პ. 50 კ. ♦ თვით 50 კ.
„ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდება მ ხ თ ლ ი დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები,
არაქები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

♦ უურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მისამები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ

*)

С. Р. Тавартиладзе.

Олгинская 6,

Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)



*) ეს ადგილი კონკრეტული მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაბონებთ, რომ
♦ უმარქო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ♦